

# Wir neu A2.3

Grundkurs Deutsch für junge Lernende

მასწავლებლის წიგნი

IX კლასი

გრიფინიჭებულია საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2021 წელს.



სულაკაურის  
გამომცემლობა

# **Wir Neu A2.3**

Grundkurs Deutsch für junge Lernende

Lehrerhandbuch

## სარჩევი

სახელმძღვანელოს კონცეფცია – შესავალი	5
სახელმძღვანელოს აღწერა	6
სახელმძღვანელოს ძირითადი კომპონენტები	8
დიდაქტიკური საფუძვლები	9
კრიტერიუმები სახელმძღვანელოს შესაფასებლად	14
Goethe-Zertifikat A2: Fit in Deutsch	16
გაკვეთილის გეგმის ნიმუში	18
მასალის განაწილების გეგმა	22
ამონარიდი ეროვნული სასწავლო გეგმიდან – მეორე უცხოური ენა, საბაზო საფეხურის სტანდარტი	27

## Wir Neu A2.3

### Grundkurs Deutsch für junge Lernende

Modul 1			
Lektion 1	Seite	Lektion 3	Seite
Didaktische Hinweise	51	Didaktische Hinweise	64
Lösungen und Hörtexte Kursbuch	53	Lösungen und Hörtexte Kursbuch	66
Lösungen und Hörtexte Arbeitsbuch	55	Lösungen und Hörtexte Arbeitsbuch	67
Test	58	Test	60
Lektion 2	Seite		
Didaktische Hinweise	59		
Lösungen und Hörtexte Kursbuch	61		
Lösungen und Hörtexte Arbeitsbuch	61		
Test	70		
Modul 1: Wir trainieren: Hörtexte und Lösungen, Sprechkarten			71
Modul 1: Abschlusstest	74	Lösungen zu den Tests von Modul 1	75

Modul 2	
Lektion 1	Seite
Didaktische Hinweise	76
Lösungen und Hörtexte Kursbuch	78
Lösungen und Hörtexte Arbeitsbuch	78

# სახელმძღვანელოს კონცეფცია

## შესავალი

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულები (VII-IX კლასები) მეორე უცხოურ ენას (ამ შემთხვევაში გერმანულ ენას) A2 დონეზე უნდა ფლობდნენ. საბაზო საფეხურის ეროვნულ სასწავლო გეგმაში, რომელიც შემუშავებული იქნა საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ, A2 დონე დაშლილია 3 ქვესიმრავლედ: A2.1, A2.2, A2.3

	პირველი უცხოური ენა		მეორე უცხოური ენა	
	მოსმენა და კითხვა	წერა და ლაპარაკი	მოსმენა და კითხვა	წერა და ლაპარაკი
I-IV კლასების სტანდარტი	A1.1	A1.1		
V-VI კლასების სტანდარტი	A2.2.	A2.1	A1.2.	A1.2
VII – IX კლასების სტანდარტი	B1.1	A2.2	A2.3	A2.1.

(იხ. საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024; მეორე უცხოური ენა, საბაზო საფეხურის სტანდარტი)

ცხრილში ნათლად ჩანს, რომ რეცეფციული უნარები (მოსმენა და კითხვა) ერთი ქვესიმრავლით წინ უსწრებს რეპროდუციულ უნარებს (წერა და ლაპარაკი). ეს განსხვავება იმით აიხსნება, რომ რეპროდუციული უნარების განვითარება რეცეფციულთან შედარებით ნელა მიმდინარეობს და შესაბამისად, ამ უნარებში მისაღწევი მიზნებიც არ ემთხვევა ერთმანეთს.

წინამდებარე სახელმძღვანელო Wir Neu A2.3 განკუთვნილია IX კლასისთვის. ის განამტკიცებს წინა კლასებში შესწავლილ გრამატიკულ სტრუქტურებსა და სამეტყველო ფრაზებს, გვთავაზობს მოზარდებისთვის საინტერესო ახალ თემებს, რომლებიც საჭიროა, მაგალითად, სასწავლო საქმიანობათა განსახორციელებლად, ან ურთიერთობების აღწერისათვის (იხ. სახელმძღვანელოს აღწერა). ამასთანავე ეს სახელმძღვანელო მოსწავლეებს საფუძვლიანად ამზადებს ისეთი სასერტიფიკატო გამოცდისთვის, როგორც არის Jugend-Prüfungen des Goethe-Instituts Fit Deutsch 2 ან Österreichisches Sprachdiplom Kid 2. ამ სახელმძღვანელოს საშუალებით მოსწავლეები გაეცნობიან და შეიძენენ გამოცდისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს.






## სახელმძღვანელოს აღწერა

ეს სახელმძღვანელო მოიცავს ორ მოდულს. პირველი მოდული შედგება 3 თავისაგან, ხოლო მეორე მოდული – ერთი თავისაგან. საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით, A2 დონის მისაღწევად საჭიროა დაახლოებით 120-150 აკ. საათი. აქ გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: აქვს თუ არა ამ უცხოურ ენას მსგავსება მშობლიურ ენასთან, სწავლობენ, სწავლობდნენ ან ფლობენ თუ არა მოსწავლეები რომელიმე სხვა უცხო ენას, რამდენად მაღალია სწავლის მოტივაცია, ფლობენ თუ არა მოსწავლეები სწავლის ჩვევებს და ა.შ.

მოქმედი საათობრივი ბადის მიხედვით მეორე უცხოურ ენას IX კლასში ეთმობა კვირაში 2 აკ. საათი (იხ. საათობრივი ბადე – 2018 წლის სექტემბრიდან, თავი X), ხოლო სასწავლო წლის კალენდარი VII-IX კლასებისთვის მინიმუმ 35 კვირისაგან შედგება. აკადემიური კვირებისა და აკადემიური საათების გათვალისწინებით მეორე უცხოურ ენას ეთმობა დაახლოებით 70 აკ. საათი (35X2). წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული სასწავლო მასალა საგამოცდო მასალასთან ერთად განერილია 64 აკადემიურ საათზე (იხ. მასალის განაწილების გეგმა გვ.22). საათობრივი განაწილების თვალსაზრისით ეს სახელმძღვანელო კარგად ერგება ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ სტანდარტს და A2.3-ის მასალის გავლა საგამოცდო მასალასთან ერთად შესაძლებელია ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.

წინამდებარე სახელმძღვანელო Wir Neu A2.3 განკუთვნილია 12-15 წლის მოზარდებისთვის. ის ითვალისწინებს მოზარდების ასაკობრივ ინტერესებს და მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა: პროფესიები, სამომავლო გეგმები, უცხოეთში გამგზავრება ენის შესასწავლად, წარსულის შესახებ საუბარი, მაგალითად: თუ როგორ გაიცნეს მშობლებმა ერთმანეთი. ორივე მოდულში წარმოდგენილი თავების თემატიკა სრულად შეესაბამება მე-9 კლასის მოსწავლეების ასაკს.

თანდართული საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოების ცხრილში მოცემულია A1 და A2 დონეების აღწერილობა. ცხრილში აღწერილია მისაღწევი შედეგები შემდეგ უნარებში: გაგება, ლაპარაკი და წერა.

საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო			
		A1 საწყისი საფეხური	A2 საწყისი საფეხური
გაგება		იმ შემთხვევაში, თუ საუბარი გარკვევით და წელი ტემპით მიმდინარეობს, შემიძლება სიტყვების და მარტივი წინადადებების გაგება, რომლებიც მეხება მე, ჩემს ოჯახს ან ჩემ გარშემო არსებულ კონკრეტულ საგნებს.	შემიძლება ცალკეული და ხშირად ხშირებული სიტყვების გაგება, თუ ჩემთვის მნიშვნელოვან თემებზე საუბარი (მაგ. მალან მარტივი ინფორმაცია პროფუნებასა და ოჯახის, საყიდლების, სამსახურის შესახებ). მესმის მოკლე, მკაფიო და მარტივი შეტყობინებებისა და გამოცხადებების ძირითადი არსი.
		შემიძლება აზრებზე, პლაკატებზე ან კატალოგებში მოცემული ცალკეული არსებითი სახელების, სიტყვებისა და მარტივი წინადადებების გაგება.	შემიძლება მოკლე, მარტივი ტექსტების კითხვა და ყოფით ტექსტებში (მაგ. განცხადებები, სარეკლამო ფურცლები, მენიუები ან სამგზავრო განრიგები) კონკრეტული, თვალშისაცემი ინფორმაციის მოძებნა და მოკლე, მარტივი პირადი წერილების გაგება.
ლაპარაკი		შემიძლება იმ საუბარში მივიღო მონაწილეობა, როდესაც ჩემი პარტნიორი მზად არის წელი და გარკვევით ისაუბროს; უფრო ზუსტად, დამეხმაროს იმის ფორმულირებაში, რის თქმაც მინდა. შემიძლება მარტივი შეკითხვების დასმა და ჩემთვის ნაცნობ თემაზე შეკითხვებზე პასუხი.	შემიძლება მარტივ სიტუაციებში მოსაუბროს გაგება, ინფორმაციის პირდაპირი გაცემა და ნაცნობ თემაზე საუბარი. შემიძლება მარტივი საუბრის თვითონ წარმართვა, თუმცა, შესაძლოა, საუბარში ყველაფერი ვერ გავიგო და ყველა საკითხზე ვერ ვისაუბრო.
		შემიძლება ჩემთვის ნაცნობი პროფუნებისა და ჩემი სახლის აღწერა მარტივი გამოთქმებისა და წინადადებების გამოყენებით.	შემიძლება მთელი რიგი წინადადებებით, მაგალითად, ჩემი ოჯახის, სხვა ადამიანების, ჩემი საცხოვრებლის, განათლების და დღევანდელი ან ბოლოდროინდელი საქმიანობის აღწერა.
წერა		შემიძლება მოკლე და მარტივი ღია ბარათის დაწერა საკურორტო ადგილიდან. შემიძლება ფორმულარებში ისეთი მარტივი მონაცემების შეტანა, როგორებიცაა სახელი და გვარი, მისამართი, ეროვნება და სხვა.	შემიძლება მოკლე, მარტივი ჩანაწერების და შეტყობინებების დაწერა; მალან მარტივი პირადი წერილის დაწერა, მაგალითად მადლობის გადახდა.

## სახელმძღვანელოში გამოყენებული თემები

### პირველი მოდული (Modul 1: Pläne) შედგება სამი თავისაგან:

**Lektion 1:** Ich will Tennisspielerin werden (მე მინდა გავხდე ჩოგბურთელი)

**Lektion 2:** Was wirst du dann machen? (რას გააკეთებ შემდეგში?)

**Lektion 3:** Eine Sprachreise nach England (მოგზაურობა ინგლისში ენის შესასწავლად)

სამივე თავი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით IX კლასისთვის გათვალისწინებულ შემდეგ თემებს: სასურველი პროფესია, სამომავლო გეგმები სკოლისთვის და სკოლის გარეთ, პრაქტიკა და უცხოეთში გამგზავრება უცხო ენის შესასწავლად.

ეროვნული სასწავლო გეგმის საბაზო საფეხურის თემატურ ჩარჩოში შეტანილია ინდივიდის აქტივობის სფეროები: პროფესიები, სკოლა, პროფესიული განათლება, მოგზაურობა. ამგვარად, პირველი მოდული სრულიად შეესაბამება სტანდარტის თემატურ ჩარჩოს (იხ. საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024, გერმანული ენა, საბაზო საფეხური, თემატური ჩარჩო საბაზო საფეხურის სასწავლო თემებისათვის).

უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დასაშვებია თემების შეცვლა და თემების საბაზო საფეხურის ერთი კლასის პროგრამიდან მეორეში გადასაცვლება (თემების ჩამონათვალს თითოეული კლასისთვის სარეკომენდაციო ხასიათი აქვს). აქვე ვკითხულობთ, რომ „საბაზო საფეხურის სამივე კლასის თემატიკა მთლიანობაში უნდა შეესაბამებოდეს საბაზო საფეხურის სტანდარტის თემატურ ჩარჩოს“ (იხ. საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024, გერმანული ენა, საბაზო საფეხური, წლიური პროგრამა, სასწავლო თემების სანიმუშო განაწილება წლების მიხედვით).

### მეორე მოდული (Gestern, vorgestern, einmal...) შედგება ერთი თავისაგან:

**Lektion 1:** Wie hast du Mutti kennengelernt? (დედა როგორ გაიცანი?)

ამ თავში მოცემული თემატური შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ თემატურ ჩარჩოს: ოჯახი და ოჯახის წევრები. (იხ. საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024, გერმანული ენა, საბაზო საფეხური, თემატური ჩარჩო საბაზო საფეხურის სასწავლო თემებისათვის).

ამ სახელმძღვანელოში მეტყველების უნარის განსავითარებლად სავარჯიშოების უმეტესობა გათვლილია წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობაზე. ლექსიკური და გრამატიკული სავარჯიშოები თამაშის ხასიათს ატარებს, რაც მოზარდებში ლაპარაკის უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს (იხ. საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024, გერმანული ენა, საბაზო საფეხური, ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები).

Wir Neu A2.3-ის მიზანია გერმანულ ენაზე წერილობითი და ზეპირმეტყველებითი კომუნიკაციის განვითარება. წიგნი მე-9 კლასის მოზარდებს სთავაზობს მათი ასაკისათვის შესაფერის თემებს. ეს კი, თავის მხრივ, მასწავლებელს ე. წ. Transferphase-ს დაეგმვას უადვილებს და მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, რომ სასწავლო მასალის შინაარსი საკუთარ თავზე გადაიტანონ. ამ სახით მასალა უფრო ადვილად დასამახსოვრებელია.

მოსწავლის წიგნში მოცემული სავარჯიშოები ძირითადად ორიენტირებულია ქმედებაზე, მაგრამ ისეა აგებული, რომ დამატებით ბევრ რესურსს არ მოითხოვს. მასწავლებელს არ გაუჭირდება მათი გამოყენება და ადვილად შეძლებს გაკვეთილის გამდიდრებას მოსწავლეებისათვის სახალისო და ადვილად გასაგები აქტივობებით. მოსწავლის რვეულის სავარჯიშოები კი სრულად შეესაბამება მოსწავლის წიგნში ახსნილ მასალას.

ქვემოთ გაეცნობით სახელმძღვანელოს ძირითად კომპონენტებსა და მის დიდაქტიკურ საფუძვლებს. ასევე გთავაზობთ რამდენიმე მეთოდურ რჩევას, რაც გაკვეთილის დაგეგმვაში დაგეხმარებათ.

## სახელმძღვანელოს ძირითადი კომპონენტები

### მოსწავლის ნიგნი კლასში სამუშაოდ

- დიალოგები, მოსასმენი და საკითხავი ტექსტები;
- ოთხი უნარ-ჩვევის (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერა) განვითარება;
- მრავალფეროვანი დავალებები, რომლებიც ემსახურება საკომუნიკაციო მიზნებს;
- მრავალფეროვანი გრამატიკული სავარჯიშოები;
- დავალებები წარმოთქმაში სავარჯიშოდ;
- დავალებები ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად;
- სურათები, რომლებიც ემსახურება საკომუნიკაციო მიზნებს;
- სიმღერები;
- რუბრიკა „შენ შეგიძლია“;
- ინფორმაცია ქვეყნების შესახებ.

### მოსწავლის რვეული ცოდნის გასაღრმავებლად და საშინაო დავალებებისთვის

- შესაბამისობა მოსწავლის ნიგნთან;
- მრავალფეროვანი სავარჯიშოები გრამატიკული კონსტრუქციებისა და ლექსიკური მარაგის გასაღრმავებლად;
- ნასწავლი სიტყვებისა და სამეტყველო ფრაზების ჩამონათვალი ყოველი მოდულის ბოლოს.

### მასწავლებლის ნიგნი

- მეთოდური რჩევები მასწავლებლებისთვის;
- მოსწავლის ნიგნსა და რვეულში მოცემული მოსასმენი მასალის ტრანსკრიპციები და პასუხები;
- ტექსტების ტრანსკრიპციები და პასუხები;
- ბარათები ზეპირი სავარჯიშოებისათვის;
- ყოველი მოდულის შემაჯამებელი ტესტები და მათი პასუხები.

### მოსწავლის ნიგნის აუდიომასალა:

- ინტერვიუები;
- დიალოგები;
- სიმღერები;
- სხვადასხვა ტიპის სავარჯიშო სიტყვის სწორად წარმოთქმაში.

### ონლაინდავალებები:

- სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოები გავლილი გრამატიკული კონსტრუქციებისა და ლექსიკის განსამტკიცებლად;
- საშინაო დავალებები;
- დავალებები ისეთი ჯგუფებისთვის, რომლებსაც ინტერნეტში მუშაობა შეუძლიათ.

# დიდაქტიკური საფუძვლები

## მოსწავლის წიგნი

### მოდული 1: გეგმები (Pläne)

- **თავი 1:** მე მინდა გავხდე ჩოგბურთელი (Ich will Tennisspielerin werden)
- **თავი 2:** რას გააკეთებ შემდეგში? (Was wirst du dann machen?)
- **თავი 3:** მოგზაურობა ინგლისში ენის შესწავლის მიზნით (Eine Sprachreise nach England)

### მოდული 2: გუშინ, გუშინდინ, ოდესღაც

(Gestern, vorgestern, einmal ...)

- **თავი 1:** დედა როგორ გაიცანი? (Wie hast du Mutti kennengelernt?)

განვიხილოთ, რამდენად შეეფერება სახელმძღვანელო ამა თუ იმ მიზნობრივ ჯგუფს:

- სახელმძღვანელოს მთავარი გმირები არიან მოზარდები, რომლებიც მოზარდებისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო სიტუაციებს წარმოაჩენენ.
- სახელმძღვანელო გთავაზობს ტექსტის სახეობებს, რომლებსაც მოზარდები ძირითადად უსმენენ, კითხულობენ და წერენ.
- სახელმძღვანელო განიხილავს მოზარდებისთვის მნიშვნელოვან თემებს.

ზეპირმეტყველებითი კომუნიკაციას განვითარება ყველა დონეზე Wir Neu A2.3 -ის ძირითადი მახასიათებელია. სახელმძღვანელო მიზნად ისახავს არა მხოლოდ სამეტყველო უნარ-ჩვევების განვითარებას, არამედ განსხვავებული კულტურული კონტექსტების გაგებასა და პატივისცემას.

Wir Neu A2.3 გთავაზობს როგორც პრაგმატულ, ასევე ადაპტირებულ ტექსტებს: კითხვარი, ინტერვიუ, ტესტი, პროგნოზი, საინფორმაციო ფლაერი, ელექტრონული წერილი, ბიოგრაფია, საფოსტო ბარათი, პირადი ცხოვრების ამსახველი ამბები, თანამედროვე ზღაპარი თუ საინფორმაციო ტიპის ტექსტები, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, ამოიცნონ უცხო კულტურის თავისებურებები და პარალელები გაავლონ საკუთარ კულტურულ გარემოსთან.

როგორც ეროვნულ სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ, უცხოური ენის სწავლა უცხო სამყაროში შესვლასა, განსხვავებული წესების, ტრადიციების აღმოჩენასა და განსხვავებული ღირებულებებისა და მენტალობების გაგებას ნიშნავს. ეს სახელმძღვანელო თავისი კონცეფციით სრულიად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. სახელმძღვანელოში მოცემული აქტივობები მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, გააცნობიერონ კულტურული მრავალფეროვნება და ისწავლონ როგორც საკუთარი, ასევე უცხოური კულტურის დაფასება.

მოკლე სიუჟეტები აუგბურგელი ვაიგელების ოჯახის (შტეფანი და თინა, მათი მშობლები – რენატე და პეტერი) ცხოვრებიდან მთელ წიგნს თან გასდევს და მოსწავლეებს წარმოდგენას უქმნის გერმანელების ცხოვრებაზე; საშუალებას აძლევს, აღმოაჩინონ განსხვავებული წესები და ტრადიციები, რათა თანდათან განსაზღვრონ სოციო-კულტურული თავისებურებები. მოსწავლეებს უცხოური ენისა და კულტურის გაცნობის პროცესში უნდა ჩამოუყალიბდეთ მკვიდრი წარმოდგენები და ეს საერთო უნდა იყოს ყველა თემისათვის (იხ. საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024, გერმანული ენა, საბაზო საფეხური, სოციოკულტურული თავისებურება).



დავალებების უმრავლესობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გათვლილია წყვილებსა და ჯგუფურ მუშაობაზე, რაც ხელს უწყობს ენის აქტიურად გამოყენებას. ამასთან მოცემულია უამრავი თამაში, რაც ლექსიკური მარაგის ათვისებას და გრამატიკული სტრუქტურების დაუფლებას უწყობს ხელს. წყვილებად და ჯგუფური მუშაობის შესაძლებლობა ავითარებს ისეთ გამჭოლ უნარებსა და ღირებულებებს, როგორებიცაა: თანამშრომლობა, ცოდნის გაზიარება, პრობლემების ერთობლივად გადაჭრა. ამ კუთხითაც ეს სახელმძღვანელო შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომლის მიხედვითაც, საგნობრივი შედეგების გარდა, შეფასების სამიზნედ უნდა იქცეს სხვადასხვა გამჭოლი უნარები და ღირებულებები: პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა, ეთიკა და ა.შ. (იხ. საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024, მეორე უცხოური ენა, საბაზო საფეხურის სტანდარტი, გამჭოლი უნარები და ღირებულებები).

### 1. თითოეული მოდული მოიცავს შემდეგ რუბრიკებს:

- შენ სწავლობ (Du lernst...) ყოველი მოდულის დასაწყისში მოცემული საკომუნიკაციო მიზნები შესაბამისი მოდულის თავებში უნდა იქნეს მიღწეული.
- ჩვენ ვვარჯიშობთ (Wir trainieren) ყოველი მოდულის ბოლოს მოცემული განვლილი მასალის გამეორება მოსმენის, კითხვის, ლაპარაკისა და წერის მიზანმიმართულ ვარჯიშს ემსახურება, რაც მოსწავლეებს, ერთი მხრივ, აძლევს წარმატებული კომუნიკაციის საშუალებას, და მეორე მხრივ, ამზადებს A2 დონის გამოცდისთვის.

### 2. ენობრივი კონსტრუქციები

- თითოეულ თავში ენობრივი კონსტრუქციები შეისწავლება ეტაპობრივად. ცხრილში მოყვანილი რუბრიკები მეორდება ყოველ თავში:

საკომუნიკაციო სიტუაცია	სურათი დიალოგური სიტუაციით
სამეტყველო ბლოკი	გამოყენებული ენობრივი სტრუქტურების გააზრება
გრამატიკის ყუთი	გრამატიკული კონსტრუქციების წარმოსაჩენად
ჩვენ ვმღერით	ლექსიკა და გრამატიკა სიმღერაში
ლექსიკის განმტკიცება	სავარჯიშოები მოცემული თავის ლექსიკაზე დაყრდნობით
წარმოთქმა	წარმოთქმაში კომპლექსურად ვარჯიში
შენ შეგიძლია	ნასწავლი მასალის გამოყენება

### 3. უნარ-ჩვევები

სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ენობრივი ქმედების ოთხივე ძირითადი კომპეტენციის (ლაპარაკი, წერა, მოსმენა და კითხვა) განვითარებას. თითოეული კომპეტენციისათვის მოსწავლეებს თავიდანვე მიეწოდებათ სათანადო სტრატეგიები, რომლებზე დაყრდნობითაც მათ უადვილდებათ ტექსტის გაგება, მოსმენა, ლაპარაკი და წერა.

მიმართულება – **ზაპირი მიტყვეობა** (მოსმენა და ლაპარაკი): გამოიყენება ისეთი ტიპისა და შინაარსის ტექსტები, რომლებიც სირთულით შეესაბამება ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიერ მოთხოვნილ დონეს. მოსმენისა და ლაპარაკის უნარების განვითარებას სახელმძღვანელოში ხელს უწყობს ის ფაქტორიც, რომ მოსწავლეებმა ერთი და იმავე შინაარსისა და ტიპის ტექსტებზე უნდა იმუშაონ.

**მოსმენა** – მოსასმენი ტექსტების დავალებებიდან გამომდინარე, მოსწავლეებს ამ ეტაპზე მოეთხოვებათ ტექსტების უფრო ამომწურავად გაგება და ენობრივი მოვლენების გაანალიზება. მოსასმენ ტექსტებს გაკვეთილზე სხვადასხვა ფუნქცია აქვს:

- მოდელები წარმატებული ინტერაქციისთვის: დიალოგებსა და სხვადასხვა სავარჯიშოში გამოყენებული ენობრივი ნიმუშები და ფრაზები მოსწავლეებს საკომუნიკაციო მიზნების დაძლევაში ეხმარება.
- სიმღერები და, ზოგადად, ჟღერადობა ხელს უწყობს აბსტრაქტულ სწავლებას, რადგან აუდიოინფორმაცია (ჟღერადობა და რითმი) ემოციურ კვალს ტოვებს, ეს კი უკეთ დამახსოვრებას და შემდგომში სწრაფად გახსენებას აადვილებს.

**ლაპარაკი** – მრავალფეროვანია საკომუნიკაციო სიტუაციები, რომლებშიც მოსწავლე მონაწილეობს როგორც მსმენელი ან მოქმედი პირი. ის იწყებს ენობრივი მარაგის უფრო თავისუფლად გამოყენებას როგორც სიმულაციური, ისე რეალური კომუნიკაციის დროს.

- მოსწავლის ალაპარაკება სახელმძღვანელოს პრიორიტეტული ამოცანაა. თემაში ათვისებული გრამატიკული, ლექსიკური და სამეტყველო მოქმედებების გამოსაყენებლად, ასევე თემასთან დაკავშირებულ საუბრებსა და ინტერვიუებში მონაწილეობის მისაღებად Wir Neu A2.3 არაერთ დავალებას გვთავაზობს.
- ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს დონეებზე დაყრდნობით, სახელმძღვანელო შემოიფარგლება A2 დონისთვის შესაბამისი საკომუნიკაციო მიზნებითა და სამეტყველო ინტენციებით. სახელმძღვანელოში წარმოდგენილი თემები სავსებით პასუხობს IX კლასისთვის შერჩეულ თემატიკას.

მიმართულება – **წერილი მიტყვეობა** (კითხვა და წერა): აერთიანებს ამ აქტივობათა თანმხლებ სტრატეგიებს, რომლებიც მოსწავლეს გაუადვილებს საკომუნიკაციო მიზნების მიღწევას.

**კითხვა** – მოსწავლეებს მოეთხოვებათ სხვადასხვა ტიპისა და შინაარსის ტექსტების გაგება, რომლებიც სირთულით და მოცულობით შეესაბამება სტანდარტით მოთხოვნილ დონეს.

წასაკითხი ტექსტები სახელმძღვანელოში ისეა მინოდებული, რომ მოსწავლეები დროთა განმავლობაში ეუფლებიან როგორც კითხვის ტექნიკას, ისე წაკითხულის გაგება-გაზრებას. მათ საშუალება ეძლევათ თავად განასხვაონ კითხვის სამი სახე:

- გლობალური კითხვა – მიზანია ტექსტის შინაარსის გაგება;
- სელექტური კითხვა: მიზანია ცალკეული ინფორმაციის გაგება;
- დეტალური კითხვა: მიზანია ტექსტის სრულად გაგება.

ტიპური დავალებებია ტექსტის შესახებ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, ნაკითხულის საფუძველზე გამოკითხვის ჩატარება, ტექსტის ნაწილებისა და სურათების ერთმანეთთან დაკავშირება და თანმიმდევრობით დალაგება, სავარაუდო პასუხებიდან სწორის შემოხაზვა (Multiple Choice), ვარაუდის გადამოწმება (richtig/falsch).

**წერა** – წერიტი კომუნიკაციის უნარის განსავითარებლად გამოიყენება კითხვისას დამუშავებული ტექსტებიც, რომლებითაც მოსწავლეს შეუძლია იხელმძღვანელოს აღწერითი თხრობითი ტექსტების შექმნისას, პირადი კორესპონდენციის წარმოებისას და სხვა. წერის სტრატეგიებისა და ახლად შეძენილი ლექსიკურ-გრამატიკული ცოდნის გამოსაყენებლად და მცირე ზომის ტექსტების შესათხზავად სახელმძღვანელოში სხვადასხვა ტიპის დავალებები და სავარჯიშოებია მოცემული.

#### 4. გრამატიკა

ამ სახელმძღვანელოში გრამატიკული თავისებურებებისა და კონსტრუქციების სისტემატიზაცია სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოებით ხდება, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს, დააკვირდეს, ამოიცნოს, გაიაზროს და კონტექსტში გამოიყენოს გრამატიკული კონსტრუქციები.

გრამატიკული პროგრესია მოცემული თემების ფარგლებში მოსწავლეების საკომუნიკაციო მოთხოვნებს შეესაბამება. ასათვისებელ ენობრივ მასალაზე აგებული ტექსტების მეშვეობით, გრამატიკული მასალა მოსწავლეს მიეწოდება სახალისო, ადვილად გასაგები ზეპირი თუ წერილობითი საკომუნიკაციო სიტუაციებით. რუბრიკა „გრამატიკის ყუთი“ ხელს უწყობს ნასწავლის სწორად გამოყენებას.

გრამატიკის სისტემატიზაცია ენის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია სახელმძღვანელოს იმ ნაწილში, რომელშიც ჯამდება მოდულის გრამატიკული მასალა. მოსწავლეს საშუალება ეძლევა, ამოიცნოს გრამატიკული თავისებურებები (Ergänze die Regel) და შეადაროს ისინი მშობლიურ ენას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ენობრივ თავისებურებებზე ყურადღების გამახვილებას (language awareness). ამასთან, გავლილ თემატურ მასალაზე აგებული სავარჯიშოებით მონმდება, სწორად გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა გრამატიკული სტრუქტურები და შეუძლიათ თუ არა მათი გამოყენება.

მოდულის ბოლოს მოცემული გრამატიკული ნაწილი არ უნდა დამუშავდეს განყენებულად. სასურველია მისი ჩართვა თავზე მუშაობის პროცესში. მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებას ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ მათ შეუძლიათ შედეგების პერიოდულად შემოწმება მოცემული პასუხების მეშვეობით. მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ ყოველი მოდულის ბოლოს მოცემული ტესტების „Teste dein Deutsch“ შემოწმება ინდივიდუალურად ან მენყვილესთან ერთად.

Wir Neu A2.3 დონის გავლის შემდეგ მოსწავლეებს შეეძლებათ საკომუნიკაციო სიტუაციებში ქვემოთ მოცემული გრამატიკული ფენომენების გამოყენება:

- ნათესაობითი ბრუნვა (**Genitiv**);
- დამოკიდებული წინადადება (Nebensätze mit dass);
- მომავალი დრო, პროგნოზი (Futur);
- ზედსართავი სახელის ხარისხები (Komparativ und Superlativ);
- დროის და განსაზღვრების გარემოებით დამოკიდებული წინადადება (Nebensätze mit wenn: konditional, temporal);
- მიზნის გარემოებით დამოკიდებული წინადადება (Nebensätze mit um ... zu);

- წარსული დრო 2, არანესიერი ზმნები (Perfekt: unregelmäßige Verben);
- წარსული დრო, ზმნა „ყოფნა“ (Das Präteritum von sein)
- დამოკიდებული წინადადება წარსულში (dass-Sätze im Perfekt);
- წარსული დრო: ზმნა „ყოფნა“ და „ქონა, ყოლა“ (Präteritum von sein und haben)
- მოდალური ზმნების წარსული დრო (Präteritum von Modalverben)
- დამოკიდებული წინადადება (Nebensätze mit als)
- წარსული დრო: ნესიერი და არანესიერი ზმნები (Präteritum: regelmäßige und unregelmäßige Verben)

ეს გრამატიკული მასალა სრულ თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან (იხ. საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024, მეორე უცხოური ენა, საბაზო საფეხურის გრამატიკა).

## მოსწავლის რვეული

მოსწავლის რვეულში მოცემული სავარჯიშოები ემსახურება მოსწავლის წიგნის შესაბამის თავში გავლილი მასალის გამეორებასა და ნასწავლის განმტკიცებას. მოსწავლის რვეული ასევე შეიცავს სავარჯიშოებს სასაუბრო თემის შესაბამისი ნასწავლი ლექსიკის გამოსაყენებლად.

მოსწავლის რვეულში მოცემულია საწერი და მოსასმენი სავარჯიშოები. გარდა ამისა, აქ ვხვდებით ისეთ სავარჯიშოებს, რომლებიც სალაპარაკო უნარ-ჩვევებს ავითარებს.

AB S.5-6: Ü. 1, 2, 3

მოსწავლის წიგნში მოცემული ეს სიმბოლო სამუშაო რვეულში შესაბამის სავარჯიშოებზე მიუთითებს.

ყოველი მოდულის ბოლოს მოცემულია თემების მიხედვით დაჯგუფებული ახალი სიტყვები შესაბამისი მაგალითებით. არსებით სახელებთან მოცემულია მრავლობითი რიცხვი. მარცხენა მხარეს მოცემული რიცხვი მოსწავლის წიგნში სათანადო გვერდზე მიუთითებს. მოსწავლეებს შეუძლიათ, სიტყვების მარჯვნივ საწერ ხაზებზე უცხო სიტყვებს მშობლიურ ენაზე მიუწერონ მნიშვნელობები.

ყოველი თავის ბოლოს მოცემული რუბრიკა – „ჩემი ახალი სიტყვები“ ლექსიკური მარაგის გამდიდრებას ემსახურება.

## მასწავლებლის წიგნი

მასწავლებლის წიგნში მოცემული მეთოდური რჩევები მოსწავლის წიგნში თავებისა და სავარჯიშოების თანმიმდევრობას ემთხვევა. მოცემული რჩევები არაა სავალდებულო, ის სარეკომენდაციო ხასიათისაა. რჩევები მართალია, დაგეხმარებათ გაკვეთილის დაგეგმვაში, თუმცა საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მასალის ყველა კლასში ერთნაირად მიწოდება მიზანშეწონილი არ არის. ეცადეთ, გაითვალისწინოთ თქვენი მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებები, ინტერესები და მათ მოარგოთ მასწავლებლის წიგნში მოცემული რჩევები.

## კრიტიკუმი სახელმძღვანელოს შესაფასებლად

აქ შემოგთავაზებთ ცხრილს, რომელშიც ჩამოთვლილია, თუ რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე უცხო ენის სახელმძღვანელო. ეს ცხრილი ამოღებულია გოეთეს ინსტიტუტის მიერ მასწავლებლების მოსამზადებლად შექმნილი სპეციალური პროგრამიდან, კერძოდ პროგრამის მეხუთე ნაწილიდან DLL 5 Lernmaterialien und Medien, რომელიც 2014 წელს გამოიცა. შენიშვნების სვეტში ჩანს, თუ რამდენად შეესაბამება წინამდებარე სახელმძღვანელო Wir Neu A2.3 მოცემულ კრიტერიუმებს.

კრიტერიუმი	შენიშვნა
<p><b>სახელმძღვანელოს კომპონენტები</b> (მოსწავლის წიგნი, სამუშაო წიგნი, მოსასმენი და საყურებელი მასალა)</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. მოსწავლის წიგნისა და სამუშაო წიგნის ფუნქციები თვალსაჩინო და გასაგებია.</li> <li>2. სახელმძღვანელო მრავალფეროვანი კომპონენტებისაგან შედგება.</li> <li>3. კომპონენტები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ადვილად მისაგნებია.</li> <li>4. მასწავლებლის წიგნი გამოსადეგია.</li> <li>5. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია სათანადო ფორმატში.</li> <li>6. სახელმძღვანელოს კომპონენტების ფასი მისაღებია.</li> </ol>	სრულად შეესაბამება
<p><b>მიზნები</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>7. ყოველი თავის მიზანი განსაზღვრულია.</li> <li>8. მიზნები გასაგებად არის აღწერილი.</li> <li>9. მიზნები სრულიად შეესაბამება. სასწავლო გეგმას/გამოცდის მოთხოვნებს. მიზნები ორიენტირებულია საერთო ევროპულ სარეკომენდაციო ჩარჩოზე.</li> </ol>	სრულად შეესაბამება
<p><b>სტრუქტურა/აგებულება</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>10. სახელმძღვანელოს სტრუქტურა თვალსაჩინოა.</li> <li>11. თითოეული თავის სიგრძე და რაოდენობა სრულიად მისაღებია.</li> <li>12. თითოეული თავის გავლა შესაძლებელია მოცემული თავისთვის გამოყოფილ დროში.</li> </ol>	სრულად შეესაბამება
<p><b>პროგრესია</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>13. პროგრესია ასაკობრივ ფგუფთან შესაფერისია.</li> </ol>	სრულად შეესაბამება



<p><b>პროგრესია</b></p> <p>13. პროგრესია ასაკობრივ ჯგუფთან შესაფერისია.</p>	<p>სრულად შეესაბამება</p>
<p><b>თემები</b></p> <p>14. თემები მოსწავლეების მიზნებთან კავშირშია.</p> <p>15. თემები მოსწავლეებისთვის საინტერესოა.</p> <p>16. თემები მოსწავლეების ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით არის შერჩეული.</p> <p>17. თემები გერმანიის მიმართ ინტერესს აღვიძებს.</p> <p>18. არ ხდება იმ ტაბუ დადებული თემების განხილვა, რომლებიც მოსწავლეების კულტურისთვის მიუღებელია.</p> <p>19. თემები თანხვედრაში მოდის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.</p> <p>20. თემები ერთმანეთთან კავშირშია და ასახავს მიზნობრივი ჯგუფის ინტერესებს.</p>	<p>სრულად შეესაბამება</p>
<p><b>კონტრასტულობა</b></p> <p>21. სახელმძღვანელო უზრუნველყოფს გერმანული ენის სტრუქტურისა და ლექსიკის შედარებას მოსწავლეების მშობლიურ/უცხო ენასთან.</p> <p>22. სახელმძღვანელო უზრუნველყოფს გერმანული კულტურის შედარებას როგორც მოსწავლეების კულტურულ გარემოსთან, ასევე მათთვის ცნობილ კულტურებთან.</p>	<p>სახელმძღვანელო არ შეესაბამება მოცემული კრიტერიუმის 21-ე პუნქტს, ვინაიდან ის არ იძლევა გერმანული ენის სტრუქტურისა და ლექსიკის შედარებას არც ქართულ ენასთან და არც რომელიმე სხვა უცხო ენასთან.</p> <p>22-ე პუნქტს შეესაბამება</p>
<p><b>მედიები</b></p> <p>23. გამოსაყენებელი მედიები ხელმისაწვდომია სკოლაში.</p> <p>24. შემოთავაზებული მედიები კომპეტენტურად გამოყენების საშუალებას იძლევა როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის.</p> <p>25. მედიების გამოყენება ენის შესწავლის პროცესს აუმჯობესებს.</p>	<p>სრულად შეესაბამება</p>
<p><b>დიზაინი (layout)</b></p> <p>26. დიზაინი ასაკობრივი ჯგუფს შეეფერება (ფერები, შრიფტი, ილუსტრაციები და ა.შ.).</p> <p>27. დიზაინი თვალსაჩინოს ხდის წიგნის აგებულებას და ამარტივებს ორიენტაციას.</p>	<p>სრულად შეესაბამება</p>

## Goethe-Zertifikat A2: Fit in Deutsch

აქვე გვინდა მოგანოდოთ ინფორმაცია გამოცდის – Goethe-Zertifikat A2: Fit in Deutsch-ის შესახებ:

### თუ მოსწავლეს სურს ...

- მოზარდებისთვის (ასაკობრივი ჯგუფი: 12-16 წელი) განკუთვნილი გერმანული ენის გამოცდის ჩაბარება;
- ენობრივი ცოდნის დასაბუთება;
- მის მიერ A2 დონეზე მიღწეული წარმატების დასაბუთება;
- ოფიციალური და საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის მიღება.

გოეთეს სერტიფიკატი A2: Fit in Deutsch არის 12 დან 16 წლამდე მოზარდების გამოცდა. ის ადასტურებს მარტივ ენობრივ შესაძლებლობებს გერმანულ ენაში და სრულიად შეესაბამება მეორე საფეხურს (A2-დონეს ) საერთო სარეკომენდაციო ჩაროს (GER) ექვსსაფეხურიანი კომპეტენციის სკალაზე.

### ამ გამოცდის ჩაბარებით მოსწავლეს შეუძლია აჩვენოს, რომ მას ...

- შეუძლია ყოველდღიურობაში დამკვიდრებული ფრაზების გაგება და გამოყენება.
- შეუძლია რუტინულ სიტუაციებში კომუნიკაციის დამყარება და მოსაუბრესთან ინფორმაციის გაცვლა.
- შეუძლია მარტივი ენობრივი კონსტრუქციებით საკუთარი წარმომავლობის, განათლების, გარემოსა და აუცილებელი და საჭირო ნივთების აღწერა.

გოეთეს სერტიფიკატი A2: Fit in Deutsch შედგება ოთხი ნაწილისაგან: **კითხვა, მოსმენა, წერა და ლაპარაკი.**

გამოცდა მთელ მსოფლიოში ერთნაირი სტანდარტით ტარდება და ფასდება.

<p><b>კითხვა: მოიცავს 4 დავალებას</b></p> <p>მოსწავლე კითხულობს მოკლე ტექსტებს, როგორებიცაა საგაზეთო სტატია, ელექტრონული ფოსტა, სხვადასხვა ტიპის განცხადებები თუ საჯარო მითითებები</p> <p>ხანგრძლივობა: 30 წუთი</p>	<p><b>წერა: მოიცავს 2 დავალებას</b></p> <p>მოსწავლე წერს შეტყობინებებს, რომელშიც უშუალოდ მის გარემოს შეეხება.</p> <p>ხანგრძლივობა: 30 წუთი</p>
<p><b>მოსმენა: მოიცავს 4 დავალებას</b></p> <p>მოსწავლე ისმენს ყოველდღიურ საუბრებს, ინტერვიუს რადიოდან, შეტყობინებებს ტელეფონზე, საჯარო განცხადებებს და ამუშავებს მოცემულ დავალებებს.</p> <p>ხანგრძლივობა: 30 წუთი</p>	<p><b>ლაპარაკი: მოიცავს 3 დავალებას.</b></p> <p>მოსწავლე სვამს და პასუხობს პირად შეკითხვებს, ყვება ისტორიას თავისი ცხოვრებიდან და გეგმავს რაიმეს თავის მენწყვილესთან ერთად.</p> <p>ხანგრძლივობა: 15 წუთი</p>



გოეთეს სერტიფიკატის A2: Fit in Deutsch ჩასაბარებლად მოსწავლე უნდა ფლობდეს გერმანულ ენას A2 დონეზე (იხილეთ საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო)

ახლა კი გვინდა შემოგთავაზოთ გამოცდის ოთხივე ნაწილის აღწერა. ეს გამოცდა განთავსებულია გოეთეს ინსტიტუტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, რუბრიკაში Übungsmaterialien (სავარჯიშო მასალები): <https://www.goethe.de/de/spr/kup/prf/prf/ft2/uf2.html>

## კითხვა (Lesen)

კითხვითი ნაწილის მიზანია, შეფასდეს, რამდენად კარგად ესმის მოსწავლეს სხვადასხვა ტიპის ტექსტები; მაგალითად, როგორებიცაა: საგაზეთო სტატია, საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ტექსტები, ღონისძიებების პროგრამები, წერილები და განცხადებები.

გამოცდა შეიცავს 4 დავალებას. მათგან სამი ტექსტი არის Multiple Choice დავალება, ხოლო მეოთხე დავალებაში მოცემულ განცხადებებს მოსწავლეებმა უნდა შეუსაბამონ იქვე მოყვანილი წინადადებები.

გამოცდის ხანგრძლივობაა 30 წუთი და ფასდება 20 ქულით (Items).

## მოსმენა (Hören)

მოსმენის ნაწილის მიზანია, შეფასდეს რამდენად კარგად იგებს მოსწავლე სხვადასხვა ტიპის მოსასმენ ტექსტებს; მაგალითად, როგორებიცაა: რადიოში გადმოცემული ინფორმაცია, ავტომობილსაუბრე დატოვებული შეტყობინება, დიალოგები, რადიოინტერვიუები.

მოსასმენი ნაწილი შეიცავს 4 დავალებას. მათგან პირველი და მესამე დავალება არის Multiple Choice დავალება, მეორე დავალებაში მოსწავლეებმა მოსმენილი ტექსტები უნდა შეუსაბამონ სურათებს, ხოლო მეოთხე დავალება გულისხმობს სწორი და არასწორი ვარიანტის დადგენას (richtig/falsch).

გამოცდის ხანგრძლივობაა 30 წუთი და ფასდება 20 ქულით (Items).

## წერა (Schreiben)

წერითი ნაწილის მიზანია, შეაფასოს მოსწავლის შესაძლებლობა, დაწეროს პირადი შეტყობინება ან ოფიციალური მელი.

გამოცდის ხანგრძლივობაა 30 წუთი და ფასდება 20 ქულით (Items).

## ლაპარაკი (Sprechen)

ზეპირი ნაწილის მიზანია, შეაფასოს მოსწავლის შესაძლებლობა, დასვას და უპასუხოს პირად შეკითხვებს, მოჰყვეს ისტორია საკუთარი ცხოვრებიდან და დაგეგმოს რაიმე აქტივობა მეწყვილესთან ერთად.

ზეპირი ნაწილი შედგება 3 ნაწილისგან. პირველ ნაწილში მოსწავლეები საგამოცდო ბარათების საშუალებით ერთმანეთს კითხვებს უსვამენ და პასუხობენ, მეორე ნაწილი არის მონოლოგური, ხოლო მესამე ნაწილში გეგმავენ აქტივობას მეწყვილესთან ერთად.

გამოცდის ხანგრძლივობაა 15 წუთი და ფასდება 25 ქულით (Items).



# ბაკვეთილის გეგმის ნიმუში

(ხანგრძლივობა 45 წუთი)

დრო	მიზანი	ფაზა	მოსწავლის აქტივობა	სოციალური ფორმა	მასალა	მასწავლებლის აქტივობა
5 წთ	მოსწავლეს შეუძლია დასახელოს ნაცნობი პროფესიები.	დანყება	მოსწავლეები აკეზებენ წინასწარ გამზადებულ სამუშაო ფურცელს, წერენ თითოეული ასოს გასწვრივ მათთვის ნაცნობ პროფესიას. დასასრულს ყველა ჯგუფი ასახელებს მათ მიერ მოგონებულ პროფესიებს.	ჯგუფურად	სამუშაო ფურცელი 1 Akronym	მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს სამუშაო ფურცლებს და უხსნის დავალებას.
5 წ.	მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რომელ პროფესიაზეა მოსასმენში საუბარი.	პრეზენტაცია	მოსწავლეები ისმენენ ინტერვიუს თინასთან. ერთმანეთს ეკვირან პატარა ბურთს და ასახელებენ თითო ასოს მოსმენილი პროფესიიდან.	ინდივიდუალურად/ფორუმი	მოსასმენი ნიგნიდან, გვერდი 6, N1	მასწავლებელი უხსნის დავალებას. სთხოვს მოსწავლეებს, დახურონ ნიგნი და მოუხმინონ ინტერვიუს თინასთან. მასწავლებელი წერს დაფაზე მოსასმენში დასახელებული პროფესიის პირველ და ბოლო ასოს და სთხოვს მოსწავლეებს, დასახელონ თითო ასო მოსმენილი პროფესიიდან.
7 წ.	მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რისი გავება სურს რეპორტიორს და რას ამბობს თინა.	სემანტიკა	მოსწავლეები კიდევ ერთხელ ისმენენ ინტერვიუს თინასთან და შემოხაზავენ სწორ პასუხს. აღარებენ თავიანთ შედეგებს მენჯვილისას.	ინდივიდუალურად	მოსასმენი ნიგნიდან, გვერდი 6, N2	მასწავლებელი ასმენინებს ინტერვიუს კიდევ ერთხელ და სთხოვს მოსწავლეებს, შემოხაზონ სწორი პასუხი. ამონებებს შედეგებს. მასწავლებელი წინასწარ წერს ფრაზებს დაფაზე: „Die Reporterin fragt: ...“ და „Tina antwortet: ...“. შემდეგ მოსწავლეების კარნახით წერს რეპორტიორის შეკითხვასა და თინას პასუხს „Tina, was willst du werden?“, „Ich will Tennispielerin werden.“

<b>8 წ.</b>	მოსწავლეს შეუძლია სურათები შეუსაბამოს პროფესიებს. შეუძლია პროფესიების სწორად წარმოთქმა.	პრეზენტაცია/ სემინარიზაცია ვარჯიში	მოსწავლეები მუშაობენ ერთად, ერთმანეთს შეუსაბამებენ პროფესიების სურათებსა და პროფესიებს. დასასრულს მოსწავლეები მოსასმენის საფუძველზე ამოწმებენ სწორ პასუხებს და ვარჯიშობენ სწორად წარმოთქმაში.	ჯგუფურად	ნიგნი, გვერდი 7: N 4 და 5 დაჭრილ პროფესიების ურათები (Bildkarten) და პროფესიები (Wortkarten)	მასწავლებელი ურთავს მოსწავლეებს წინასწარ დაჭრილ, პროფესიების ამსახველ სურათებსა (Bildkarten) და ფურცლებზე დაწერილ პროფესიების დასახელებებს (Wortkarten), სთხოვს მათ, ერთმანეთს შეუსაბამონ ფოტოები და დასახელებები.
<b>7 წ.</b>	მოსწავლეს შეუძლია, დაასახელოს გამოტოვებული პროფესიები და შეავსოს დაბოლოებები.	ვარჯიში	მოსწავლეები წევილებად მუშაობენ და ავსებენ გამოტოვებულ პროფესიებს.	წევილებში	სამუშაო ფურცელი 2	მასწავლებელი უხსნის დავალებას და ეხმარება მოსწავლეებს საჭიროების შემთხვევაში.
<b>5 წ.</b>	მოსწავლეს შეუძლია თქვას, ვინ უნდა გამოვიდეს პროფესიით.	ვარჯიში	მოსწავლეები დგებიან წრეში. ერთმანეთს ესვრიან პატარა ბურთს და ეკითხებიან, თუ რა სურთ, გამოვიდნენ პროფესიით და პასუხობენ შეკითხვას.	ფორუმი	პატარა ბურთი	მასწავლებელი დაფაზე წერს რეპორტიორის შეკითხვას – „Tina, was willst du werden?“ და მოუთითებს მასზე მოსწავლეებს; სთხოვს, ერთმანეთს დაუსვან იგივე შეკითხვა და გასცენ პასუხი დაფაზე მოცემული ნიმუშის მიხედვით: „Ich will .... werden.“ შემდეგ ის ესვრის ბურთს ერთ-ერთ მოსწავლეს, რომელიც პასუხობს შეკითხვაზე: შემდეგ ბურთს ესვრის მომდევნო მოსწავლეს და ა.შ.
<b>8 წ.</b>	მოსწავლეს შეუძლია თქვას, თუ ვის რა სურს, გამოვიდეს პროფესიით.	ვარჯიში	მოსწავლეები დადიან საკლასო ოთახში და ერთმანეთს ეკითხებიან, თუ რა სურთ, გამოვიდნენ პროფესიით. ისინი სამუშაო ფურცელზე სვამენ ჯვარს იმ პროფესიის გასწვრივ, რომელსაც ასახელებს მეწყვილე.	ფორუმი	სამუშაო ფურცელი 3	მასწავლებელი უხსნის დავალებას და ურთავს სამუშაო ფურცელს.
<b>10 წ.</b>	მოსწავლეს შეუძლია კლასში მოცემული სტატისტიკის შესახებ საუბარი.	ვარჯიში	მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად. ისინი ერთმანეთს ადარებენ თავიანთ შედეგებს და აჯამებენ. დასასრულს ყველა ჯგუფი წარადგენს შედეგებს.	ჯგუფურად/ ფორუმი	სამუშაო ფურცელი 3	მასწავლებელი უხსნის დავალებას. ის ისმენს და მადლობას უხდის მოსწავლეებს.

## **Arbeitsblatt 1: Akronym**

**Schreibt zu jedem Buchstaben einen Beruf, den ihr kennt.**

**B**

**E**



**R**

**U**

**F**

**E**

**Arbeitsblatt 2: Berufe: weiblich, männlich.**  
**Ergänzt die fehlenden Berufe.**

	
	Ärztin
Bankangestellter	
	Köchin
Frisör	
	Gärtnerin
Programmierer	
	Sängerin
Lehrer	
	Schauspielerin
Automechaniker	

Ergänze die Endungen.

Berufe: **männlich** \_\_\_\_ oder \_\_\_\_

Berufe: **weiblich** \_\_\_\_

## Arbeitsblatt 3: Klassenstatistik

Wer will was werden? Macht eine Umfrage in der Klasse.

Lehrer/in	X X X	Sänger/in	
Automechaniker/in		Tierpfleger/in	
Programmierer/in		Bankangestellte/r	
Koch/Köchin		Gärtner/in	
Frisör/Erisörin		Model	
Arzt/Ärztin		Manager/in	
Schauspieler/in		Sportler/in	

**Fasst die Ergebnisse zusammen und berichtet:**

*Drei Schülerinnen möchten Lehrerin werden.*

- 1.
- 2.
- 3.
- 4.

<b>Modul 1: Pläne...</b>									
<b>Lektion 1: Ich will Tennispielerin werden</b>									
	UE	Seite KB	Seite AB	Sprachhandlung	Grammatik	Wortschatz	Textsorten	Phonetik	მუხლი 86
Was willst du werden?	1-5	6-9	5-12	nach Berufen fragen und darauf antworten	Genitiv	Berufsbezeichnungen in männlichen und weiblichen Formen; Verben: werden, wollen	Reihenübung; Minidiolog; Umfrage		იუცხ.საბ.3 იუცხ.საბ.5.
Gegenstände, Werkzeuge	06-10	10-12		fragen, wem was gehört; bestätigen	Nebensatz mit dass	verschiedene Gegenstände und Werkzeuge, die zu den jeweiligen Berufen passen	Was stimmt? Ein Interview		
Wortschatz wiederholen! Aussprache! Du kannst ..	11	13						Wörter aus anderen Sprachen	

### Lektion 2: Was wirst du dann machen?

	UE	Seite KB	Seite AB	Sprachhandlung	Grammatik	Wortschatz	Textsorten	Phonetik	მუხლი 86
Über Vorsätze sprechen	12-16	14-16	13-20	fragen, was man nach der Schule machen möchte oder wie man eine Party am Ende des Schuljahres vorbereitet; die Fragen beantworten; Zukünftiges ausdrücken; über Pläne sprechen	Verb werden+ Infinitiv (Futur)	Schulnoten, Schulzeugnis, Bildungseinrichtungen	Dialoge, Textbausteine		11-12, 13-16, 17-19, 20-21, 22
Prognosen formulieren, Menschen bzw. Sachen vergleichen	17-21	17-19		sagen, ob man pessimistisch oder optimistisch eingestellt ist; eine Umfrage in der Klasse durchführen; über berühmte Leute sprechen	Adjektive im Komparativ und Superlativ	Ajektive zur Beschreibung einer Person (Aussehen, Eigenschaften...)	Test, Tabelle, Interview		
Du kannst ...	22	19							

### Lektion 3: Eine Sprachreise nach England

	UE	Seite KB	Seite AB	Sprachhandlung	Grammatik	Wortschatz	Textsorten	Phonetik	მუხლი 86
Eine Sprachreise	23-27	20-23	21-27	Fragen zu einer Sprachreise stellen und beantworten, eine Bedingung nennen	wenn Sätze; um... zu Infinitiv	Schulnoten, Zertifikat, Unterricht, Freizeit	Dialoge, Prospekt		იუცხ.საბ 2. იუცხ.საბ 4. იუცხ.საბ 9.
E-Mail aus England	28-29	24-25		sich im Reisebüro erkundigen		eine Reise, im Reisebüro	eine informelle E-Mail, Hörtext		
Wortschatz wiederholen! Aussprache! Du kannst ... Wir singen	30-32	26-34					Lied: Das Fremdsprachenlied	Betonungswechsel bei Pluralformen	
<b>Modul 1: Wir trainieren</b>	33-37	28-35		sich zu verschiedenen Situationen äußern; gemeinsam etwas planen			Anzeigen; Leserbriefe		



## Modul 2: Gestern, vorgestern, einmal

### Lektion 1: Wie hast du Mutti kennengelernt?

	UE	Seite KB	Seite AB	Sprachhandlung	Grammatik	Wortschatz	Textsorten	Phonetik	მუცლი 86
Verabredung	38-42	44-46	38-45	über die erste Verabredung sprechen	Vergangenheitsform Perfekt	sich kennenlernen, Verabredung	Dialog, Geschichte		იუცხი.საბ. 4. იუცხ. საბ 6. იუცხი.საბ 12.
Lebenslauf, Urlaubskarte	43-48	47-48		Vergangenes erzählen; fragen wann etwas passiert ist; um eine Bestätigung bitte	Präteritum	Urlaub	Lebenslauf; Urlaubskarte, Dialoge		
Wortschatz wiederholen! Aussprache! Du kannst ...	49-51	49						Intonation üben	

Zertifikatsprüfung für Jugendliche A2	
	UE
Hören	52
Lesen	53-54
Schreiben	54-57
Sprechen	58-64

# ამონარიდი ეროვნული სასწავლო გეგმიდან

## მეორე უცხოური ენა საბაზო საფეხურის სტანდარტი

### შესავალი

საბაზო საფეხურზე მეორე უცხოური ენის სტანდარტი შედგება ექვსი ნაწილებისაგან:


- საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- მეთოდოლოგიური ორიენტირები;
- შეფასება;
- ტერმინოლოგიური ლექსიკონი;
- დანართები - გრამატიკა (ფრანგული, გერმანული, რუსული).

საბაზო საფეხურზე უცხოური ენის შესწავლისას მოსწავლეები უცხოურ ენას ფუნქციურად გამოიყენებენ კომუნიკაციური მიზნებისა თუ სასწავლო საქმიანობათა განსახორციელებლად; დაეუფლებიან ენის სწავლის უნარებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია პირველი და მეორე უცხოური ენების სტანდარტებისა და ევროსაბჭოს ენის ფლობის დონეების საორიენტაციო შესაბამისობა.

		პირველი უცხოური ენა		მეორე უცხოური ენა	
		მოსმენა და კითხვა	წერა და ლაპარაკი	მოსმენა და კითხვა	წერა და ლაპარაკი
I-IV სტანდარტი	კლასების	A1.1	A1.1		
V-VI სტანდარტი	კლასების	A2.2	A2.1	A1.2	A1.2
VII – IX სტანდარტი	კლასების	B1.1	A2.3	A2.2	A2.1

სასკოლო კონტექსტთან ადაპტირების მიზნით ეროვნულ სასწავლო გეგმაში A1, A2, B1 დონეები შემდეგ ქვესიმრავლეებადაა დაშლილი:



### ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

მეორე უცხოური ენის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- უცხოურ ენაზე სხვადასხვა ტიპის ზეპირი და წერილობითი ტექსტების გაგებისა და შექმნა-გაზიარების უნარების განვითარებას;

- უცხოური ენის გამოყენების უნარის განვითარებას პრაგმატული თუ საგანმანათლებლო მიზნების განსახორციელებლად;
- ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარის ჩამოყალიბებას;
- ენების ეფექტიანად სწავლისთვის საჭირო უნარ-ჩვევები;
- სასწავლო საქმიანობაში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის უნარის განვითარებას კონსტრუქციული თანამშრომლობის გზით.

ამ მიზნებზე მუშაობით მეორე უცხოური ენა თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

## **ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი**

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას, რა უნდა შეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს მეორე უცხოურ ენაში. ეს შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

**ტექსტის მოსმენა/წაკითხვა და გაგება** - მოიცავს სტრატეგიებს, რომლებსაც უნდა დაეუფლოს მოსწავლე უცხოენოვანი ტექსტების გასაგებად სოციოკულტურული კონტექსტების თავისებურებათა გათვალისწინებით.

**წერა და ლაპარაკი** - გულისხმობს სტრატეგიებს, რომელთა საშუალებითაც უნდა შეძლოს მოსწავლემ უცხო ენაზე ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია.

**საქმიანობა უცხოური ენის გამოყენებით** - გულისხმობს სოციალურ კონტექსტებში სხვადასხვა ტიპის საქმიანობათა უცხოურ ენაზე განხორციელებას. იგი შეესაბამება ენების დიდაქტიკის ახალ პარადიგმას - მოქმედებაზე ორიენტირებულ მიდგომას (action-oriented approach).

**სტანდარტის შინაარსი** განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, თემატური ჩარჩოების, საგნობრივი საკითხების სახით.

საბაზო საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ცნებები და ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები უნდა დამუშავდეს შინაარსიან კონტექსტებში. ეს კონტექსტები თემატური ჩარჩოს სახითაა განსაზღვრული. მასწავლებლის თუ ავტორის მიერ შერჩეული სასწავლო თემები საბაზო საფეხურის სამივე კლასისთვის უნდა გამომდინარეობდეს სტანდარტის თემატურ ბლოკიდან.

თემატური ჩარჩო საბაზო საფეხურის სასწავლო თემებისათვის აჩვენებს იმ კონტექსტებს, რომლებშიც უნდა შეძლოს მოსწავლემ უცხოური ენის გაგება-გამოყენება.

## **სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება**

სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების საფეხურსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **II უცხ.საბ.1.:**

„**II უცხ**“ - მიუთითებს მეორე უცხოურ ენაზე;

„**საბ**“ - მიუთითებს საბაზო საფეხურზე;

„**1**“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერზე.

<b>მეორე უცხოური ენის სტანდარტი</b>		
<b>შედეგის ინდექსი</b>	<b>მიმართულება: ტექსტის მოსმენა/წაკითხვა და გაგება (რეცეფცია)</b>	<b>ცნებები</b>
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
<b>II უცხ.საბ.1.</b>	მოსმენამდე/კითხვამდე ტექსტის ტიპის განსაზღვრა მისი სტრუქტურული და სიტუაციური მახასიათებლების ამოცნობის გზით;	ტექსტის ტიპი
